



N 21/4362
10/08/2022

4362-21-2-202208101851



შპს „ჯეო ფაუერს“

მის: ქ. რუსთავი, დავით გარეჯის ქუჩა N36
ელ. ფოსტა: tskapur@geosteel.com.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, 2022 წლის 1 აგვისტოს წარმოდგენილი №3729 განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვარზე 15 მგვტ დადგმული სიმძლავრის კალაპოტური ტიპის ჰესის (მეგვი ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი shp ფაილები მოიცავს ჰიდროელექტროსადგურის ერთობლივ ფენას და არ არის ერთმანეთისგან გამოყოფილი ჰესის ინფრასტრუქტურული ერთეულები;
- წარმოდგენილი არ არის მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის კონტურები. აღნიშნული შეტბორვის კონტურები ასახული უნდა იქნეს shp ფაილებში;
- გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ პროექტით გათვალისწინებულია ახალი მისასვლელი გზის და დროებითი გზის მოწყობა, ასევე არსებული გზების რეკონსტრუქცია, თუმცა წარმოდგენილი არ არის აღნიშნული გზების სქემატური ნახაზები, პარამეტრები და shp ფაილები;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე დაგეგმილია საავტომობილო ხიდის მშენებლობა და არსებული ხიდის რეკონსტრუქცია, თუმცა აღნიშნული ხიდების შესახებ ინფორმაცია (სქემატური ნახაზები, პარამეტრები, shp ფაილები და ა.შ.) არ არის წარმოდგენილი;

- გზმ-ის ანგარიშისა და თანდართული shp ფაილების მიხედვით, ჰესის შეტბორვის კონტურში ხვდება სარკინიგზო ხაზი, საავტომობილო გზები და ხიდი. წყლის დონის აწევის შედეგად მოსალოდნელია აღნიშნულ ობიექტებზე ზემოქმედება, რაც შეფასებული არ არის. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ზემოაღნიშნული ობიექტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი უწყებების პოზიციები და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გზმ-ის ანგარიშში ნახაზი 4.3.4.1-ზე ასახულია სადრენაჟე არხი და წყალშემკრები ჭები, რომლის შესახებ ტექსტურ ნაწილში ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი;
- წარმოდგენილ განცხადებაში მითითებულია, რომ გზმ-ის ანგარიშს თან ერთვის ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის;
- გზმ-ის ანგარიშში მითითებულია გაურკვეველი ჩანაწერი, კერძოდ: „ჰესის მშენებლობის ეტაპზე ხმაურის და ემისიის სტაციონარული წყაროები, ბეტონის კვანძი ან სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს მოწყობა, სამშენებლო სამუშაოების დროს გამოყენებული იქნება მობილური სამსხვრევი და ბეტონი კვანძი.“ როგორც ტექსტიდან დგინდება, სამშენებლო ბანაკზე დაგეგმილია **სტაციონარული გაფრქვევის წყაროების მოწყობა**, წარმოდგენილი უნდა იქნეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, ან/და წარმოდგენილ უნდა იქნეს აღნიშნულთან დაკავშირებით დაზუსტებული ინფორმაცია. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს სამსხვრევ-დამხარისხებელი და ბეტონის კვანძების ტექნიკური სქემები, ტექნოლოგიური პროცესები, ნედლეულის მიღების პირობები და სხვა პარამეტრები;
- გზმ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ „ჰესის სხვა ობიექტებისთვის ჩატარებული ჰიდრაულიკური გაანგარიშება მოცემულია ცალკე, დოკუმენტაციას თანდართულ ელ. დანართებში“. გაცნობებთ, რომ აღნიშნული დანართები წარმოდგენილი არ არის;
- გზმ-ის ანგარიშში, ჰესის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით, მითითებულია, რომ „საპროექტო ძეგვი ჰესი წარმოადგენს კალაპოტური ტიპის ჰესს, კაშხლის ზედა ბიეფში შექმნილი წყალსაცავის წყლით დაიტბორება მდინარის აქტიური კალაპოტის ფარგლები და მიმდებარე ტერიტორიების დატბორვის რისკი მინიმალურია“. წარმოდგენილი shp ფაილების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ჰესის წყალსაცავის შეტბორვის კონტური ხვდება მდინარის კალაპოტის გარეთ, მათ შორის ზემოქმედების ქვეშ ექცევა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ჩანაწერი არ არის დასაბუთებული და დასაზუსტებელია;
- გზმ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ „დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჰესის ზედა ბიეფში საჭიროა წყლის რეზერვუარის შექმნა, რაც თავისთავად წარმოქმნის სარკის ზედაპირს, რომლის ფართობიც (+460.0 მ დონეზე) იქნება **0,406 კმ²**, რაც ისედაც ცხელი კლიმატის მქონე რეგიონისთვის როგორც მცხეთის მუნიციპალიტეტი და კონკრეტულად კი სოფ. ძეგვია, ადგილობრივ კლიმატურ პირობებზე უარყოფით გავლენას ვერ იქონიებს“. აღნიშნული ჩანაწერი

მოკლებულია დასაბუთებას და წარმოდგენილი არ არის შესაბამისი არგუმენტები, კვლევის შედეგები, მეთოდოლოგია და ა.შ. ჰესის შეგუბების **0,406 კმ² (40,6 ჰა)** ფართობის გათვალისწინებით, დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული და დასაბუთებული მიკროკლიმატზე ზემოქმედების საკითხები, განსაკუთრებით უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებით. **გასათვალისწინებელია, რომ ჰესის შეტბორვის შექმნის შედეგად წყალდაცვით ზოლში მოხდება საცხოვრებელი სახლები (სოფ. ძეგვი) და სახელმწიფო მიწის ნაკვეთები. საპროექტო ინფრასტრუქტურის და შეტბორვის კონტურის დასახლებულ პუნქტთან (სოფ. ძეგვი) სიახლოვის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული საკითხი შეთანხმებული უნდა იქნეს მიწის ნაკვეთების/საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებთან და წარმოდგენილი უნდა იქნეს პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების/აზრის გათვალისწინების ამსახველი ინფორმაცია;**

- სამშენებლო ბანაკისთვის შერჩეული ტერიტორია მდებარეობს მდ. მტკვრის წყალდაცვით ზოლში, შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იქნეს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 დეკემბრის დადგენილების მოთხოვნები შესაბამისად, ინფრასტრუქტურის დაგეგმვა უნდა მოხდეს რეგლამენტის შესაბამისად;
- წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე ტექნიკის საწვავით მომარაგების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ინფორმაცია;
- წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია ექსკავირებული გრუნტის დროებითი დასაწყობების პირობებისა და ადგილების შესახებ;
- გზმ-ის ანგარიშის თანახმად „სამშენებლო ბანაკის და სამუშაო უბნების ელექტრომომარაგების განხორციელება გათვალისწინებულია, როგორც **არსებული ქსელიდან**, ასევე დიზელ-გენერატორების საშუალებით“. მოცემული უნდა იქნეს ელექტროენერჯის სამშენებლო ბანაკამდე მიწოდების შესახებ ინფორმაცია. ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს ეგხ-ის პარამეტრები, ადგილმდებარეობა, ინფორმაცია გადასაკვეთი ობიექტების შესახებ დაცვის ზონის გათვალისწინებით და ა.შ. ასევე, ეგხ-ის დერეფანი ასახული უნდა იქნეს shp ფაილებში და სქემატურ ნახაზებზე;
- გზმ-ის ანგარიშში მითითებული ჩანაწერი დასაზუსტებელია „წყალი ჰესის შენობაში და სამშენებლო ბანაკში მიიყვანება მილსადენით. სამშ. ბანაკში წყალსადენი მიიყვანება წყალსაწნეო კომპლექსზე მოთავსებულ უჟანგავ ავზთან“. გასაგებად და დეტალურად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული წყლის გამოყენების საკითხები;
- გზმ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ რამდენიმე ადგილზე გათვალისწინებულია ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა. წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაპირსამაგრი სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია (ადგილმდებარეობა, პარამეტრები,

ტექნიკური პირობები, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება, გარემოს აღწერა და ა.შ.);

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ მონიტორინგის გეგმაში (ცხრილი 8.1) ატმოსფერული ჰაერის ხარისხის და ხმაურის მონიტორინგში სინჯების აღების ადგილებში მითითებულია: სამშენებლო ბანაკი, სამშენებლო მოედნები და სამშენებლო მოედნებამდე მისასვლელი გზები. ჰაერის ხარისხის და ხმაურის მონიტორინგში გათვალისწინებული უნდა იქნეს უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მონიტორინგის განხორციელების საკითხი;
- ნიადაგზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით, გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ “საპროექტო ტერიტორია, წარმოდგენილია ტექნოგენური და ანთროპოგენური ლანდშაფტით, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ფაქტობრივად არ გვხვდება. პროექტის ფარგლებში მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა არ არის გათვალისწინებული, თუმცა ისეთ ადგილებში, სადაც მოხდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა გარკვეულ უბნებზე მისი დასაწყობება მოხდება სამშენებლო ბანაკის მიმდებარედ, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის პირობების გათვალისწინებით”. წარმოდგენილი shp ფაილების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილია მცენარეული საფარი, სადაც არსებობს ნიადაგის ფენაც. შესაბამისად აღნიშნული საკითხი დასაზუსტებელია;
- გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ “ტაქსაციის შედეგების მიხედვით საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში, ძირითადად მდინარის მარჯვენა სანაპიროზე 8 სმ-ზე სქელი მცენარეებიდან, იჭრება 15 ერთეული წნორი, რომლის საერთო მოცულობაც არის 3.49 მ³. დასაზუსტებელია, კონკრეტულად რა მონაკვეთებზე მოხდა ხე-მცენარეების აღწერა, რადგან წარმოდგენილი shp ფაილების ელექტრონული გადამოწმების შედეგად, დგინდება, რომ მარჯვენა სანაპიროზე, უშუალოდ ჰესის შეტბორვის კონტურში ხვდება დაახლოებით 1 კმ სიგრძის მონაკვეთი, რომელიც დაფარულია ხე-მცენარეებით;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის გათვალისწინებული ან/და არასათანადოდაა განხილული სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხები, მაგალითად: სკოპინგის დასკვნაში მითითებულ საკითხებზე, თუ სად მოხდება ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო ინერტული მასალების მოპოვება, აღნიშნულთან დაკავშირებით, ცხრილი 9.1-ში (სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საკითხები და მათზე რეაგირება) მითითებულია, რომ შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია თავში 4.8, თუმცა აღნიშნულ თავში განხილულია დასაქმების საკითხები; ასევე სკოპინგის დასკვნაში მითითებულ შემდეგ საკითხზე: “მდინარის სიგრძე და სიგანე (როგორც საერთო, ისე საპროექტო კვეთში არსებული) და საპროექტო არეალში, როგორც დამბის ზედა, ასევე მის ქვედა ბიეფში, მდინარის შენაკადების შესახებ ინფორმაცია, მანძილებისა და აღნიშნული შენაკადების მიერ გატარებული ხარჯის მითითებით დაგეგმილი საქმიანობის მიმდებარე ტერიტორიაზე, (მათ შორის რეგიონში) მსგავსი ტიპის არსებული ან/და დაგეგმილ საქმიანობებთან კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, როგორც წყალზე ზემოქმედების, ასევე გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედების კუთხით”. მითითებულია, რომ

შესაბამისი ინფორმაცია განხილულია 5.3.4 პარაგრაფში, თუმცა პარაგრაფში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს “რეგიონში მოქმედებს 4 საავადმყოფო, 27 ამბულატორია და 2 პირველადი დახმარების ცენტრი; რეგიონს ემსახურება 14 სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ბრიგადა. მცხეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 2 მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულება. სოფლის მოსახლეობას რაც შეეხება, ისინი სარგებლობენ ე.წ უბნის ექიმისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურებით. მოსახლეობის უმეტესობა დაზღვეულია საყოველთაო დაზღვევის პროგრამით”. გზმ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი: “ჰესის ძირითადი ინფრასტრუქტურის დამორება მოსახლეობასთან კონკრეტული მანძილების მითითებით”;

- გზმ-ის ანგარიშში ჰესის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით, ძირითადად მოცემულია დასკვნები, რომ ობიექტების მოწყობას მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება გარემოზე, თუმცა რიგ შემთხვევებში არ არის სათანადოდ დასაბუთებული და შესაბამისი კვლევებით/არგუმენტებით გამყარებული გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების მასშტაბები;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი შემდეგი ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას “ჰესის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებისათვის შენობის პირველ სართულზე მოწყობილია სახანძრო ტუმბოები, წყალი მიიღება აგრეგატებიდან გამონამუშევარი წყლის გამყვანი არხიდან, სახანძრო ქსელზე მოწყობილია სახანძრო ონკანები.”
- ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით უნდა მოხდეს არატექნიკური რეზიუმეს რედაქტირება;
- გზმ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად რომელი პარაგრაფები იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ;
- გზმ-ის ანგარიშის სარჩევში წარმოდგენილი ზოგიერთი პარაგრაფი, ქვეთავი და გვერდი არ ემთხვევა ერთმანეთს და საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, გზმ-ის ანგარიშში შეიცავს მრავალ ხარვეზს, ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს, ასევე სათანადოდ არ არის გათვალისწინებული და რიგ შემთხვევებში სრულიად უგულებელყოფილია სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საკითხები. დოკუმენტი საჭიროებს მნიშვნელოვან გადამუშავებას.
- წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და თავების მითითებით).

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

